

1-28 სტრ., 1r

ქსნის ერისთავთა ისტორია ანუ ნამდვილი

[.....] ამისი დაკარგულ არს სიძველით და დაიწყების მხოლოდ ისტორია ესე ამ ლექსიდამ დასავლეთისათვის საფლავი მისცეს ხოლო ერისთავობა არავისი ინე ბეს არამედ ეძიებდეს კაცსა ესევეითარსა რომელმანმცა პატივით იპყრნა და არა ძალადობით და იგიმცა დაამკვიდრეს შუა ქუჭყანასა მათსა და მოსწრაფე იყუნეს ყოველნი შენებასა ლარგვისისა დღითი დღე ყოველნი ჳევინი ამათ ჟამთა შა იქმნა ფდი შფოთი ქუჭყანასა ოვსეთისასა და იქმნა ფდი სისხლთა დათხევად მეფეთა შს მათთა მაშინ მძლე ექმნნეს შვილნი უხუცესისა ძმისანი და გარდამოიყვანეს მათსა ზახილისასა შვილნი უმრწემე სისანი როსტომ ბაბილად წითლოსანი და ძენი მათნი სამეოცდაათითა მონითა კეთილითა და მოიყვანნეს ქუჭყანასა დვალეთისასა მაშინ შეკრბეს ყოველნი დვალნი და თქუფს არა გვინდა მეფე მჯდომარე ქუჭყანასა ჩუჭნსა რათამცა შემჟამდა ჩუჭნ ხ მათ თქუფს ფიცითა მტკიცითა ვითდ არა გვერქვას მეფე ა დ ქვეყანასა მის რომელ მომცეთ ჩუჭნ სახელი გვერქვას ჩუჭნ მაშინ მისცეს ქუჭყანად ბოზალეთად და უწოდნეს ბიბილურნი და იწყეს შენებად ციხისა და სახელებისა დიდ დიდებისა რლ ეგვევითარი არა იყო ქვეყანასა დვალეთისასა მაშინ გულისჳმა ჰყოს დვალთა შეკრბეს და თქუფს ვხედავთ ვითარითა საქმითა იწყეს შენებად ოსთა ამათ მეფეთა დაღათუ სახელი დავსდევით ბიბილურად ად სახელი ესე ვერ დააფასეს გვარ ნათესაობასა მათსა და შემდგომად მცირედისა ეუფლნენ ყოველსა ქვეყანასა ჩუჭნსა და მართვეთა სხამდის და ბოლოთა ყმობამდის განვამოთ ორთავი გველი მუცლით ჩვენით აღიყუანეს და მოახსენეს ხევსა ისროლისასა ნაკაფო ვანს როსტომ და ყოველნი ძმანი და მონანი მისნი მას ჟამასა ცხრამდის ყოველნი ბრძოლილ იყვნენ ციხესა გრუვისასა ხუთი თვე მაშინ როსტომ მივიდა შველად მათდა და მას დღესა სამგზის მთამდის გამოასხნეს დიდად მოუძღურებულნი

1-28 სტრ., 1v

დაკოდილნი ცხრამდის ყოველნი მაშინ მოვიდა როსტომ ძმებითა და სამეოცდა ათითურთ მონითა და წარუძღვა წინა ვითარცა ლომი ზახილითა და ვა ვეფხვი სიმხნითა და ვითარცა ჯიქი სიფიცხითა და მოვიდა იგი და ყოველი ლაშქარი ციხესა მას და ბრძოლა უყვეს ბრძოლითა სასტიკითა რომელ არაოდეს ეხილვა ეგვევითარი და მას დღეს აიღეს ციხე ზემო და გამაგრდეს გრუელნი ორსა მას ციხესა ქვემოსა და დაჰყვეს ზავი და მას ღამესა შევიდა როსტომ და წაუღო ორივე ციხე და ვითარცა განსთენდა დააქცივნეს ციხენი იგი ყოველ

ითურთ ზღუდით და ნაშენებით მისით მაშინ თქუფს ყოველთა ცხრამდისხველთა არა განვიშოროთ ჩვენგან გვერდიდგან კაცი ესე გოლ იათი ა~დ უყოთ ყოველი რადცა უნდოდეს მას მაშინ თქუა მამასახლის მან ლარგვისისამან ხუციანდაბის ძემან უკუეთუ გნებავთ მკვიდრ ყოფა ქვეყანასა ამას ითხოვეს საფლავი მონასტერსა ამას რ~ ყოველთა დიდებულთა და აზნაურთა საფლავი აქა არს და სოფელნი ესე რო მელნი ღვთივ გვირგვინოსანსა ისტვინიანე აღმაშენებელ ისაგან შემოწირულ არიან იყო წინამძღუარ მათდა თუ ღ[....] უნდეს მაშინ ჰრქუას როსტომ მე მოვითხოვო ყოვლისა ამის ერ ისაგან გარნა შენ შემიქმენ მარჯვენით კერძო საკურთხევე ლსა ადგილსა უმჯობესისა და იყო ღ~თი შუა ჩემსა და შენსა და შუა ნათესავისა შენისა და ჩემისა რომელ პატივი და საწელი შე ნი რომელი მეფეთაგან მოცემულ არს არა შეგეცვალოს ნათესავსა შენსა უკუნისამდე და რომელი სჯობდეს საქმედ ჩემდა მე ტყოდი მე მაშინ ჰრქუა ვფუცავ მე თავი ჩემი დავსდვდა ერ თგულებით მსახურებად შენდა და ღმერთმან წარგიმართოს უმჯობეს ყოველთა მაშინ რქუა ყოველმან ერმან როს ტომს რა გნებავს რათა ვყოთ შენთვის ხ~ მან მოითხოვა საფლავი ლარგვისის და საჯდომად სახლი შუა საყდრის და ცხრამდს ციხისთავისა ნაქონები მამული და მისცეს

1-29 სტრ., 2r

ესე ყოველი ცხრამდისხველთა შუა ცხრაზმას ციხისთავისა ნაქონები მამული სოფელნი და ქვეყანანი საფლავი ლარგვისის დასაჯდომი ქვენიფნევეს და უწოდნეს ქვენიფნეველნი რ~ სხვა სახელი არა ინებეს მაშინ იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ დიდებისა და უკეთუ სადა იყვის ლაშქრობა იგი იყვნინ წინამძღვარ მბრძოლთა და არავინ იპოებოდა მარტოდ მბრძოლი როსტომისი და შეიყვარნა ყოველმან ერმან ცხრამდისხვეისმან და შემდგომად მცირედისა ჟამისა იქმნა დიდებულთა და აზნაურთაგან თხოვად ერისთავობისა ბირებთა ერისათა რ~ იტყოდეს ვისიგა იყოს საფლავი მას შეჰგავს ეკლესია და ყოველი მიმდგომი მისი მაშინ მეფემან ისტვინიანე ბრძანა მოწოდებად ყოველთა ცხრამდისხველთა წინაშე მათსა და იხილნა მეფემან რ~ ყოველთა მახლობელთა დიდებულთა და აზნაურთა შეექმინ საფლავი ნუთუმცა მიუბოძნა ქვეყანანი შეწირულნი ეკლესიისათვის მაშინ ბრძანა მეფემან ვისისაცა საფლავსა შეჰგავს უპატივოსნება მისი არს ეკლესია მისაგებელ ყოველ სამართლად უკუეთუ ენებოს ერთა მაშინ იკადრა წინაშე მეფისა კლიტეთ მპყრობელმან ეკლესი

ისამან ვითარმედ მარჯვენით კერძო საკურთხევლისა წინაშე წმიდისა ტრაპე
ზისა არს საფლავი როსტომ ქვენიფნეველისა მიცემული ყოვე
ლთა ცხრამისხეველთაგან და უკუეთუ ინებოს მეფობამან თქ
უწმან მას შეჰგავს ყოველი განსაგებელი ეკლესიისა მს
ახურება თქუწნი და მთავრობა შვიდთა მათ ჰვეთა მაშინ
ჰკითხა მეფემან ვითარ ნებავს ერთა და ცნა ვითარმედ ნებ
ავს იგი ყოველთა ჰვეთა შუა მკვიდრობისათვის მაშინ მოუ
წოდა როსტომს წინაშე მისსა და ვითარცა იხილა ბრძანა
ვითარმედ კაცი ესე ღირს არს ყოვლისა პატივისა მაშინ მიუბოძა
შვიდნი ესე ჰვენი განსაგებელი ეკლესიისანი და ყოვ
ელნი ახნაურნი მკვიდრნი მას შინა და უწოდა ერისთავ
ცხრამისჰვევისა და შემოსა სამოსლითა მითთა რომელი ემოსა

1-28 სტრ., 2v

მაშინ მეფესა და შეაცვა ბეჰედი და საყურენი და სარტყელი თვი
სი საჭურველი და ცხენი ფრთოსანი დროშა და შუბი ესე ყოველი მიუბოძა
იუსტინიანე როსტომს და წარგზავნა სიხარულით მაშინ როსტომ
აღაშენა ქალაქი ლარგვისს და განასრულა და შეამკო ყოვლითურთ ეკლესია
და მოკვდა როსტომ დაჟდა ერისთავად ძე მისი ლარგველ და შემდგომად იუსტინიანესსა
დაჟდა მეფედ დავით ბაგრატიონიანი; ამან ფრიად განადიდა ქვენიფნეველი
ლარგველი და სახელ სდვა ერისთავ ერისთავი და მისცა მთავრობა ყოველთა დი
დებულთა რომელი მკვიდრ არიან შუა არაგვსა და ლიახვსა და ზემოდთ შარჰასა
მინდორისასა ამათ ყოველთა უბრძანა რათა შ~დ მეფისა იყვენენ მორჩილ
და მოლაშქრე ერისთავთ ერისთავისა ლარგველისა და მოკვდა ლარგველი და
დაჟდა ძე მათი დიმიტრი და გარდაიცვალნეს მეფენი 26-ნი და ერის
თავნი მისნი და წელიწადნი არამცირედნი მაშინ დაჟდა მეფედ ად
არნასე და მოკვდა ერისთავი ვირშელ და დაშთა ძე მისი შალვა სამისა
წლისა და აღზარდა იგი მეფემან პატივითა მამათა მათთა და მოკვდა მე
ფე და დაშთა ძე მისი ვახტანგ ექვსისა წლისაჲ მაშინ მამის ძმამან მი
სმან დავით დაიპყრა მეფობა და არა მისცა ძმისწულსა თვისსა ვახტანგს
მაშინ შალვა გასდილი მამისა მისისა არა განემორა არამედ ზრდ
იდა ყრმასა მას მაშინ დავით მრავალი სიტკბოებითა და მრავლისა ნი
ჰს მინიჭებითა და ევედრებოდა შალვას რათა მისცეს დავით ხ~ მან
არა ისმინა ა~დ განამაგრნა ციხენი და შეავედრნა ერთგულთა მონათა
და თვით წარყუა ძესა მას მეფისასა ურდოს მაშინ მეფემან დავით შეკრი
ბა ლაშქარი თვისი და თათარნი შირვანელნი და ყოველნი მყოფნი კახეთს
და მუხრანს და მოადგა ცხრასავე ხევსა შალვას საერისთავსა და ჩამოასხნა დე
ალნი და ხადელ ცხოტელნი და ყოველნი მთიულნი ქვემონი და დაწ
ვეს და მოაოხრეს ყოველი ცხრამის ჰვენი გარეშე ციხეთა; და ციხეთა ბრძო

დეს ქვენიფნევს ქარჩოხს ქოლოთს და ისროლს ა~დ ვერა
აიხვენს და შვიდ წელად განგრძელდა ომი მათი ხ~ ციხოანთა
ესოდენ შესჭირდათ ა~დ დაიწყეს ჭამად ღვედისა და ესე ვითართა

1-29 სტრ., 3r

ზედა მოვიდა ზ~ა ვახტანგ და შალვა სპარსთა ლაშქრითა ურიცხვითა სპითა მა
ინ დავით დგა ბაზალეთს და ვითარცა ცნა მოსვლა მათი მიმართა ციხესა და
რიალისასა და მიუდგა უკანა სპა ყოველი და შეიარეს არაგვი და გარდავლეს ჯვა
რთა ყელი და ჩავიდეს დარიალს და მოადგეს დავითს ციხესა გველეთისასა ხ~ შალვა და
დგა ხადას და ესოდენ ძლიერად ბრძოდა რომელ ერთსა დღესა აიღო ციხე
და დაარღვია და მას ერთსა კვირიასა დაარღვია ციხე ოცდახუთი თხუთმეტი იქით
არაგვისა მაშინ მისცა ვახტანგ დავითს ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყვა
ნა გველეთით ხ~ შალვა მიმართა ყლ~თა დვალეთისასა და მოაოხრნა ყ~ლნი
და მოუხდეს შალვას დვალნი ღამესა ბნელსა დახვდეს მომლოდელნი რ~ ესმა
შალვას მოსვლა მათი მაშინ მიაწყვიდნეს იგინი მთხრებლსა კლდისასა და ერთიცა მათ
გან ვერღარა წავიდა და მოსრეს სიმრავლე არამცირედი დვალთა მაშინ მო
ეწივნეს და მოაოხრნეს ყ~ლი ხევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და დაარღვივნ
ეს ყ~ნი ციხენი თრუსით აჩაბეთამდის მაშინ წარვიდა ყ~ლი სპა სპარს
თა მაშინ მეფემან მიუბოძა შალვას თრუსო ღუდა გაგასძენი მლეთე არახვე
თი ხანდო ხანაეთი აბაზძეთა მამული მაგარნა კორნანი დილომი გავაზი
ამას ადგილს ამოფხვეილ არს კარგი ალაგი აწვერის ხევი და ბეხუშე და ყო
ველთა დიდებულთა მისთა უმჯობესად ხედვიდა ხ~ შალვა მოიყვანა ცოლად
ოსთა მეფისა ასული სახელად შირდი რ~ლნ განადიდა პატივი მონასტრისა
ამის და შექმნა ყ~ლნი სამსახური ეკლესიისა ოქროისა და ვერცხლისა ბარძიმი
ტაბაკნი კანდელი და სხვა ყ~ლი სამკაული და მოსჭედნა ხატნი და შეამკო
ხატი თეთროსანი წმიდითა ნაწილებითა და ყოვლითა სამკაულითა მა
შინ მოკვდა დავით მეფე და მასვე წელსა მოკვდა ვახტანგ მეფე მაშინ
დაიპყრა ძემან დავითისამან ხ~ აბაზასძე ნავროზ წარვიდა სპ
არსეთად მაშინ მეფემან უბრძანა შალვას მოდგომად ციხესა ლორწო
ბისასა მაშინ შალვა მოადგა ლორწზას და ბრძოდა სასტიკად ოთხ დღე
და მეხუთესა დღესა აიღო იგი მაშინ მოიყვანნა ორნი ხატნი ფ~დ
შვენიერნი ხ~ მეფე გიორგი განილაშქრა მალაროს და დიდად ევნოთ
მათგან ვიწროთა მათ ხევთა სიმრავლითა საგორვისათა და დიდად მწუხარე მოვიდა და კვა
ლად მეორედ წარვიდა დღეთა ყველიერისათა და იყო სიცივე დიდი და შიშისაგან

1-27 სტრ., 3v

და წარმოვიდეს გორაკსა მთისასა რ~ლი იყო განჩინებულ მაშინ
უმეტეს ევნო რ~ ინქრეოდა ცხენები და კაცნი იგი მსგავსად
მხეცთა შესვარულნი სისხლითა მოსდევდეს მათ ხ~ შალ

ვა ორსა ამას ლაშქრობასა არა იყო მუნ ანდ ძენი ხოლო მის
ნი იყვნეს რ~ ესხნეს ძენი ცამეტნი ქველნი და გონიერნი მა
შინ შალვა წარვიდა ლაშქრითა თვისითა მივიდა დასხა უმ
ჯობესი ლაშქარი მზირად ღამე და განათლდა მივიდა მცირედი
თა ლაშქრითა და მოწვა და მოაოხრა ქვეყანად მათი და არარა აიღო
ლაშქარმან ალაფი თვისნი აბჯრისა და წარმოვიდეს მაშინ მიუ
დგეს უკანა ლაშქარნი იგი მის ქვეყანისანი და გარდახდეს მზ
ირთა და აღსდგა ყოველი ლაშქარი დამალული და მოუბრუნდა შა
ლვა და შეიწყვიდინეს ადგილსა იწროსა და მოკლეს 55 კა
ცნი და მრავალი შეიპყრეს კ~დ შთავიდეს და დადგეს და მოა
ოხრეს და დაწვეს ყ~ი ქუჭყანად მათი და წარმოვიდა ალაფითა დიდითა
და მოკუდა შალვა და დაჯდა ძე მისი ლარგველი ერისთავად მან
აღაშენა უკანციხე თავსა ისროლის ჳევისასა და ტფლურითა
წესითა დარბაზოვანი ქუჭნიფნევეს ამან შექმნა დიდი ესე ხატი
მაცხოვრისა საზომითა ტანისა თვისითა და მოსჭედა იგი
ამანვე შეამკო დიდი ესე ხატი თედორესი და შექმნა ორი კან
დელი და დაუკიდა წინა ამას ჟამსა ადიდდა ქსანი და წარიღო ერთ
კერძი ზღუდე აღმოსავლეთი კერძო და სამრეკლონი დიდნი და შვე
ნიერნი მოკვდა ლარგველი და დაშთეს სამნი ძენი მისნი და დაჯდა
ერისთავად უხუცესი ძე ვირშელი სრული ყოვლითა კეთილითა ამას ჟამსა
კლიტენი იერუსალიმისანი სპარს დაიპყრნესო დიდად შეწუხნა მეფე
გიორგი მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისა რ~ლსა ერქვა პიპა გზასა
ჳმელთასა მრავლითა ძღუნითა წ~ ე ნისრელსა და წარყუა ზან
დასძე დეკანოზი იოვანე და მოვიდა პიპა წ~ ე ნისრელისა ხ~ მან სიხარულით

1-28 სტრ., 4r

შეიწყნარა ძღუწნი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალემისანი და
მივიდა პიპა ზ~სა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხუია ჟამი აწი
რვინა ეზიარა და დეკანოზი იოვანე აკურთხეს მოძღვართ მოძღვრად
და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა და ყ~ლსა ერსა
ცხრამდმის ჳეველთა მოძღვართ მოძღვრობად ნუვის ჳელეწიფების
თვნიერ ამისსა და შ~დ ვინცა იყოს მონასტრის მოძღვარი
ხ~ პიპამან მოილოცნა წმიდანი ადგილნი
და წარმოვიდა მასვე გზასა ხმელით და მოვიდა წ~ ე მეფისა
და მოიღო იერლაცი შესაწყალებისა და აღსრულება ყოვლისა სათხოვლ
ისა მისისა ფ~ დ განიხარა გიორგი მეფემან რ~ მოეცნეს კლიტენი ქარ
თველთა მაშინ მოადგა ოვსთა გორს მყოფთა და ბრძოდა სამ წელ ხ~
ვირშელ და ლაშქარი მისი უმჯობეს ჳბრძოდა სპისა ყოვლისაგან და აქე
ბდეს ქებითა დიდითა რომელი ესე შეიშურვეს მთიულთა არაგვი

სათა და თქუჴს უკუჴთუ ომსა ამას გარეგანსა უმჯობეს არიან არამედ მივიდეთ მთასა ლომისისასა და მუნ შემეზნენ ჩვენ და იხილოთ რომელნი უმჯობეს ვართ მაშინ შექმნეს პაემანი და დაიმუქრნეს და შ~დ გორისა აღებასა აუწყეს ურთიერთსა და შემოვიდეს ვირშელი და ლაშქარი მისი მთა სა ლომისისასა ხ~ არაგვისა მთიულნი დადგეს ღოის თავს და აწვე ვდეს ლომისას ხ~ იგი ტყესა ციხესა ღოისთავისასა და ქარაფსა კლ დეთასა არა განემორნეს მაშინ მოვიდა დავით ძე გიორგისი და არღა რა ჩაუშვნა საომად ა~დ განყარნა ყოველნი ხევის თავი და წარგზანეს ყოველნი აზნაურნი ქართველნი და წარვიდეს ყოველნი თვინიერ სამთა მათ ხევთა მაშინ წარმოვიდა ვირშელი და შთამოვიდა ვაკედ ხ~ ლაშქარი წყაროთა მუხათა და წისქვილთა თ~ა გვერდსა მას შთამოვიდოდა და ვ~ა ესმა ესე მთიელთა არაგვისათა წარმოვიდეს უკანა მათსა და გამოვიდეს ლომისას და დავით ძე მეფისა მუხლთა დაუყრიდა და ლომისას მყოფნი ხატთ დაუსვენებდეს რ~ა არა სდებდენ ხ~ მათ არა ისმინეს ა~დ მრავ ლითა გინებითა შესძახდეს და საგორავისა სიმრავლესა ჩამოყრიდეს

1-18 სტრ., 4v

მაშინ ვირშელმან შეკრიბნა მცირედნი იგი ლაშქარნი სამისა ამის ხევი სანი და ჰრქვა მათ აწ არღარა იქმნების ომი რ~ გაიყარა ლაშქარნი ჩვენი ა~დ კვლა შევეკრიბოდ ლაშქარი ჩვენი და მაშინ ვებრძოლნეთ მათ არა ინებეს ესე მცირედთა მათ ლაშქართა ა~დ თქუჴს მამანი ჩუჴნი მცირედთა მძლავრობდიან მამათა მათთა და მრავალთა და უკუეთუ არა ვართ შვილნი მამათა ჩუჴნთანი რაჲ სათვის გვაქვს მამული მათი მაშინ განიშიშვლეს ფარ რხმალები მათი და წარიძღვანეს დროშა და აღემართნეს ორსა მას ქედსა მთასა ლომისასა და ჩამოეგებნეს ერთსა მას ქედსა ცხავატელ გარეთნი და ყოველნი მიმდგომი მათი და ერთსა მას ჯადელ მოხევენი და მი მიდგომნი მათნი მაშინ ჩამოყარეს საგორავნი ურიცხვი და ა ღვიდეს კდ~ცა რ~ დაბურვილ იყვნეს ფართთა ვ~ა სიპითა და დაას ხეს ქვა და შუბი წვიმისა მაშინ შეიქმნა სიმრავლე ისრისა ვ~ა სეტყვა ხშირი და ფუცვიდენ ლ~თსა რ~ლ ქვემოთ ნასროლმან ისარ მან ფარი და ჯაჭვი და კაცი გაიარის და მიწას ნახევრად დაესხვის ამო იწვადეს ხმლები და შეუხდეს და აიხუნეს და აღემართნეს მალლა და გამოვიდეს ჩამოღმა და იგი იყო უმჯობესი მათ შ~ს დაჰყარის აბჯარი და ტანისამოსი და შიშველი მირბოდის მაშინ ვირშელმან ერისთავმან

1-35 სტრ., 5r

მაშინ ვირშელმან შეკრიბნა მცირენი ლაშქარნი საამისა ამის ხევისანი და რქუა მათ აწ აღარა იქნების ომი ხ~ გაიყარა ლაშქარი ჩუჴნი ა~დ კულავ შეკრ

იბოთ ლაშქარი ჩვენი და მაშინ ვებრძოლნეთ მათ არა ინებეს ესე მცირეთა ამათ ლაშქართა სთქვეს მამანი ჩუწნი მცირედნი მძლავრობდიან მამათა მათთა დი და მრავალთა და უკუეთუ არა ვართ შვილნი მამათა ჩვენთანი რადსათვის გვაქვს მამული მათი მაშინ განიშიშვლეს ფარ ხლმები მათი და წარიმ ღვანეს დროშა და აღმართნეს ორსა მას ქედსა მთასა ლომისისასა და ჩამოეგებნეს ერთსა მას ქედსა ცხოელნი გარეთნი და ყოველი მიმდგომი მათთა ერთსა მას ქედსა ხადულ მოხეველნი და მიმდგომნი მათნი ჩამოჰყარეს საგორავნი ურიც ხვნი და აღვიდეს კვალადცა რ~ დაშურვილ იყვნეს ფართთა ვ~ა სიპითა და და ასხეს ქუა და შუში ვ~ა ხვიშა მაშინ შეიქმნა სიმრავლე ისრისა ვ~ა სე ტყვა ხშირი და ფუცავდენ ლ~თსა რ~ლ ქვემოთ ნასროლმან ისარმან ფარი და ჯაჭვიანი კაცი გაარივის და მიწასა დაესვის ამოიხვადეს ხლმ ები და შეუხდეს დაიხვნეს და აღმართნეს აღმა მთასა და გარვიდეს ჩა მოღმა და იგი იყო უმჯობესი მათ შორის დააყარის აბჯარი და ერანისა მისი და შიშველი მოშორდის მაშინ ვირშელ ერისათავმან იხილნა რად ესრეთ უღონო ქმნილნი მებრძოლნი მისნი უბრძანა არა ხოცად მათდა ა~დ პყრობად და დევნად და მიუდგეს უკანა და გაჰყვეს იქით არაგვისა და მოვიდა ერის თავი ლომისას და გაუშვნა ყ~ლი რ~ლი ჯელთა დამორჩილდეს და შეწირა ლომი სას არა მცირედი და ისტუმრა შინა დავით ძე მეფისა და შემოწირა ეკლე სიასა ამას სვინაქსარი ესე კეთილი და ერისთაობასა შინა მისსა იზრდებოდა ქვენიფნევს 55 მიე სახლი უძლურებითა და დავრდომილთა და სამარად ისოდ ყ~ლ პატრონისა ტაბლისაგან მიეცემოდა დღითი დღე და მოკვდა ერისთავი ვირშელი და მეუღლე მისი გვანცა სამსა დღესა შ~ა გარდაიცვალა და დარჩა სამნი ძენი მისნი ქვენიფნეველი იოვანე და გიორგი რ~ მცირე იყვნეს მაშინ წინამძღვარ ექმნა ცხრამძისხეველთა ძმა მისი მისი ცხრა წელ მაშინ აღიზარდა ქვენიფნეველი და დაჯდა ერისთავად იყო კაცი კეთილი მშვიდი და გონიერი გამზრახი ქებული და მოშიში ლ~სა და მოყვარე მღ ვდელთა და ფ~დ წარჩინებულ წინაშე მეფეთა ამან აღაშენა ქვენიფნ ევს ეკლესია და დარბაზოვანი დიდ დიდი და მშვენიერი ამან იწყო შენებად ზღუდეთა ამას მონასტრისათა და აღაშენა სამრეკლოდ თა და ყოვლითა სამკაულითა შეამკო და შეჰკრიბნა მღვდელნი და მონაზონნი და პატივისცა უმეტეს ყ~ლთა ერისთავთა პირველთა და შემდგომთა და აღაშენა საზეთე და განაჩინა იზ აღაპი ჩვიდმეტი და შემოიწირა ცხრა ვენახი და გლეხნი მსახურად ეკლესიისა ამათ ჟამთა

1-34 სტრ., 5v

იყო შალვა ერისთავისა ნათესავი სამეოცდათორმეტი დიშ შუბოსანი და ყ~ლნი მორ ჩილებასა ქვეშე ქვენიფნეველისა მაშინ ჩამოვიდეს ცხოეტელნი ჟამურს და მისცა ლ~თნ გამარჯვებად გიორგის ძმასა ერისთავისასა და გააქცივნეს აღმა მთისა სიმაღლესა და ვითა

რცა აღვიდეს მთად დაუდგეს წინა მამასახლისნი და აღარ სდე
ვნეს რ~ თქუჭს კმა არს ბრალი ესე რ~ მომკვდარ იყო გარეშე წვ
რილისა ერისა 18 იწ თავადი ჳევის ბერი ცხაოეტელი და მეორ
ესა წელსა მოუხდეს ყ~ლნი დვალნი მაშინ ბრძოლა უყუჭს ჟამუ
რელთა და იყვნეს ბეგრის მკრეფელნი ცხრა ძმელნი და მივიდეს იგი
ნიცა და ვითარცა ესმა დვალთა მისლვა ცხრაძმელთა ზ~ა ზარი დაეცა
და გაიქცეს და შეიხვეწნეს ციხეთა ქნოლოისათა მაშინ სთხოვდეს ჟა
მურენლი ხ~ მათ არღარა მისცნეს და წამოვიდეს და შთაი
თრივეს ყოველი იგი მკვდარი დვალი და მივიდეს წინაშე ერისთ
ავისათა და შეასმინნეს ქნოლოელნი მაშინ განრისხნა ქვენიფნევე
ლი და განილაშქრა ქნოლოს და დააღვივნა ციხენი მათნი და მოწვა
ქვეყანა მათი ამისსა შ~დ დვალთა წასახეს ხვასდაგი ჟამურით
ესმა ერისთავსა და წარვიდა მივიდა სოსხოს და ნახევარი ლაშქარი
დასხა მალულად და ნახევართა მოადგა სამსა მას სოფელსა და ციხესა ზე
მოსა მაშინ შეიქნა ხმა და წარვიდეს ყ~ლნი მამანი ქვემოთა მათ
მახლობელთა სოფელთანი და შემოვიდეს ზემო მალულთა ლაშქართა და
გადმოუსხდეს ზურგით და მიეტევნეს ზემონი და შეიწყვიდინეს შუა
და ერთიცა მათგანი არა განერა და დაარღვივნა ციხენი მათნი და მო
წვა ქვეყანა მათი და აღივსნეს ლაშქარნი ალაფითა და წარმოვიდა
დიდად განმარჯვებული რომელთაცა ლაშქართა მისთაგანი არა მოი
წყლა ხ~ გიორგი ძმა ერისთავისა უმცროსი ლაშქრობდის იქით არაგვსა
და სტყვენვიდის რ~ იყო კაცი გონიერი და შემმართებელი ხოლო
საშუალო იგი ძმა იოვანე მარადის იყვის წ~ე მეფისა რ~ იყო
მხნე გოლიათი ბრძოლათა შ~ა უძლეველი გამზრახი ქებული
უშიში ვ~ა უხორცო რომლისათვისცა პატივისცემდეს მეფე
ნი და საკუთრება და თანა მზრახველობა მისი ვ~ა დიდი შესამ
ინელი შერაცხა რ~ მრავალ გზის გამოიცადა იგი ჟამსა
ბრძოლისასა რ~ იყო ფ~დ განთქმულ და სახელოვან და უმ
ჯობეს ყ~ლთა მბრძოლთა ამათ ჟამთა მოვიდეს თურ
ქნი წინაძლომითა ბავდარის ძისათა ხ~ ისრითა მოკლეს

1-34 სტრ., 6r

მეფე გიორგი და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართველნი და მუნ მოკვდა
ერისთავი ქუჭნიფნეველ ქ~კსა და ხ~ იოვანე სიმხნითა და სიქუჭლითა
განერა მადგან სასტიკად ბრძოლილი მოვიდა და დაჯდა ერისთავად და ახოვნებასა სი
მხნესა მისსა ზ~ა შესძინა სამართალი რ~ იყო იგი მამა ობოლთა შემწე უღონოთა ჳელის
აპყრობელ დაღონებულთა და ფ~დ საზარელ მტერთა და მრისხანე ბოროტის მოქმედთა ზ~ა
მოშიში ღ~თისა მოყვარე მღვდელთა პატივისმცემელ მონაზონთა განმადიდებელ ეკლესია
თა შემამკობელ ხატთა და სათნო ღ~ისა საყუარელ კაცთა საქებელ მთავართა და უ

ნაკლულო სამღთოთა ქუელის მოქმედებითა და ურცხვნილი საკაცობათა მოქმედებითა და ნებითა ღისაითა იყო სახლი მას საწყურად აღმომდინარე კეთილითა და უჭწნელ ვა ზღუად

მაშინ მოიყუანა მეუღლე პატოსანი ღის მოყუარე და სრულ ყოვლითურთა მან შემატა ღის მსახურებასა და კეთილის ყოფასა დაღონებულთასა მაშინ ევედრებოდეს ღისა ყოვლით ერითურთ მოცემად შვილისა და შეისმინა ღის ვედრებისა მათისა და მიეცა ყრმა წული და განიხარეს სიხარულითა დიდითა ყისა ერისათა და მრავლისა ღამის თევეითა ჟამის წირვითა გლახაკთა და მღდელთა მიცემითა შეავედრეს ღისა და რაჟამს სძესა განეყენა სწავლად წმიდითა წერილითა მისცეს იგი და წარიყვანა მამის ღამან მისმან სრულმან ყოვლითა მეცნიერებითა სიბრძნითა და გონიერებითა და ზრდი და მას შემზგავსებულად სიბრძნისა თვისისა და მუცლად ილო კდ და შუა ქალი და მიიცვალა მანიაკი ყოველთა მანდილოსანთა ხ შდ რაოდენთამე წელიწადთა მოიყუანა იოვანე ცოლად ასული ღთივ გვრგვინოსნისა დავით მეფეთ მეფისა გი ორგის ძისა რლსა ეწოდა გულშარ რლსა ქებასა თუ შეჰკრებენ ყოველნი ბრძენნი სოფლისანი ვერ მისწუთებთან და არცა ენისაგან მიიხვდომვის და არა ესვა მას ძე ად ორნი ასულნი უნათლესნი მნათობთა ცისათანი ამას ჟამსა იყო შფოთი და პოეს ჟამი დვალთა და წაასხეს ღუდით ზროხა ესმა ერისთავსა და განილაშქრა მათ ზა და მივიდა ერემას წუხლეთს და წუხენს და დაარღვივნა ციხენი მათნი და დაწვა და აღაოხრა ქუჭყანა მათი და წარმოვიდა გამარჯვებული მაშინ მთიულნი არაგვისანი ყოველნი დაესხნეს გრემის კევს ხ გრემის კეველნი

შეკრბეს და შეიბნეს და სვემან პატრონისა მათისამან მისცა ძლევა გრემის კეველთა და გააქცივნეს და დევნა უყუჭს და კაცი არცა ერთი მოკლეს ად მარცვდეს და შიშ ველი განუტევიან და მოიყუანეს კდ ორმოცი კაცი წე ერისთავისა ხ მან დამოსნა და განუტევა ყოველნი გარნა ბოროტად მეტყუელსა ვისმე ანდრიას მოჰკვეთა კელი მარჯვენე და ფეხი მარცხენე ამას ჟამსა იქმნა წვიმად მძაფრი და აღიდნა ქსანი და მომართა მონასტერსა ამას და წარიხუნა ზღუდენი და სამრეკლონი და გამო ითხარა ძირი ეკლესიისა რომელ სამ წელ აღაშენა და ამა ქმნა ბჰე და სამრეკლო და დაიწყო ზღუდისა ხატვად ეკლესიის ამას ჟამსა ქვემო დვალთა წაასხეს

1-33 სტრ., 6v

ზროხა აწ ივერის კევით ესმა ერისთავსა იოვანეს და განილაშქრა ხ ყმა იგი ვირშელი წუთლა ჩჩვილ იყო ად წინამძღვარ ექმნა ლაშქართა თვსთა და გარდავლეს მთა თვესა ოკდონბერსა სავსე თოვლითა და ჩავიდეს თლისის კევს და მოაოხრეს თლე ბი ბილურთად და წერღვე და აღივსნეს ლაშქარნი ყოვლითა ალაფითა და ნატყუწნვითა წარმოვიდეს განმარჯვებულნი მაშინ მოშლილ იყო დიდი იგი საყდარი იკორთას მთავარანგელოზისა მიქეილისი და იწყეს შენებად და ვდ ყანჩაეთს მეორედ აღმა შენებელ იქმნეს ტამარსა დედისა ღისა ხ საქმე ერისთავისა იოვანესი ვითარ გაუწყო მეფენი შემოხვეწილ სახლსა შა მისსა მათგან ხადოდიან მეფობასა და მის

ცის რ~ლსაცა ენების და მოკუდა კეთილითა სიბერიითა და დაეფლა მის მიერ აღშენებულსა მონასტერსა და შ~დ დაჯდა ძე მისი ვირშელ იყო კაცი მშვენიერი და სრული ყოვლითა კეთილითა ბრძენი გონიერი მშვიდი უშურველი სამართლის მოქმედი მოწყალე საწა დელ და საყვარელ მოყვარეთა და ერთგულთა და საზარელ და საშინელ ურჩთა და წინააღმდეგ

ომთა ხ~ იყო ჭაბუკი ასაკითა და უბრძანეს მოხუცებულთა სათნოებითა ბრძოლათა შ~ა უძლეველი და გამომრჩევ ქებულ რ~ კარსა მისსა იყო გალობა და ლოცვა დაუცადებელი და პირველსავე წელსა ერისთავობისა მისისასა აღაშენა ქვიტკირითა ეკლესია წმიდისა ნიკოლოზისი მაშინ შეკრბეს ყოველი ლაშქარი მი სი და ჰრქვა თავადთა და ლაშქართა ყოველთა ვინაფთგან მამამან ჩემმან დვალთა ესეოდენი მოაწია რომელთამე წვითა კლვითა დაფორიაქებითა დაქცევითა ციხეთა ტყვეობითა შიშითა და პატიჯებითა და კ~დ სხვათა სიყვარულითა გამო სვენებითა მიცემითა და შემოსითა ფერად ფერადთა სამოსელთა და ყოველი და დაივიწყიან და სამარადისოდ ჟამისა პოვნასა მოელოდიან აწ ჩუწნ მოვიცალოთ მათთვის ანუ ავაოხროთ ქვეყანა მათი და ანუ შეკქმნნეთ მსახურ და მობეგრედ ჩუწნდა ნუთუ მათ პოონ ჟამი ჩუწნ ზედა ოდეს ჩუწნ უცალო ვიყვნეთ სხვისა შფოთისაგან და დატყვენონ ნაპირი მისი კერძო სოფელი ჩუწნი მაშინ მიემოწმნეს ყ~ლნი ლაშქარნი წარემართნეს და შედგეს მთასა ბეხუშისასა და ესმა ქვემო დვალთა კომკელ და იოსებურთა თლეველ მოდისველელთა ზღუბერელ როკაელითა შეძრწუნდეს და მოუსხეს ძველები ძღვენი და ბეგარა და ფიცით აღუთქვეს ერთგულად მსახურება მაშინ შეიწყალა ქვეყანა მათი და არა ბოროტი უყო მათ მობრუნდა და შედგა მთასა სოსხოსასა და ესმა მალრან დვალთა და მოვიდეს ბრუნტის შვილნი და ქელეურ კაბუშურნი და ყოველნი სისხოელ წუბენის ჯოველნი ხოჯაელ წაელნი მძევლითა ბეგართა და ძღ

1-34 სტრ., 7r

ვენისა სიმრავლითა და მოიმტკიცნა ფიცითა და აღუთქუწს ერთგულებით მონებაჲ მაშინ ჩავიდა თრუსუს და მიეგებნეს თრუსუელნი მრავლითა ძღვენითა და ერთგულობისა ჩუწნებითა და ევედრნეს შველად მტერთა მათთა ზ~ა ხოლო ერისთავმან უბრძანა ბხოველთა მოსვლად წ~ე მათსა ა~დ მათ არა ინებეს რ~ თქუწს არა მეშინის შენგან და ვერც არს შემძლებელ ხარ ვნებად ჩუწნდა მაშინ განრისხდა ერისთავი ვირშელი და შეუძახა ლაშქარი თვისი დასცეს საყვირსა და მიეტევნეს ვ~ა მხეცნი და მოადგეს შუა სამხრის ციხეთა მნისათა და იყო ბრძოლა სასტიკი რ~ კაცნი იგი იყვნეს მარჯვედ მბრძოლნი მხნენი და გოლიათნი და აბჯარ სრულნი და იყო სიმრავლე ისრისა ვ~ა წვიმა ხშირი და სიმრავლე ქუიასა ვ~ა სეტყუა და საგორავი აურაცხელი მაშინ მოუ

კლნეს სიმრავლითა ისართადთა თავნი და გოლიათნი ქუჭყანისა მათისანი
სუნდულ ფარეჯან ამსაჯან ბალათარ და სხვანი მრავალნი და მას
ყა ზახილისა და ხმოზასა შა იცნობებოდა ხმა ვირშელისა ვა ხმა ლომისა
მაშინ შესტეხეს კარები და შეიპყრეს ყლი მბრძოლი და მოიყვანეს წე ერ
ისტავისა და დაწუნეს და დაარღვიეს ციხენი და სოფელნი მათნი ესმა მო
ხევეთა და მოვიდეს ბრძოლად და ვა იხილეს იხილეს სიმრავლე ლაშქრისა ში
შით დაიმალნეს უკუმოდგა ერისთავი კობს და მოიღეს მოკვეთა სი
მრავლე ძღვენისა და შდ განთენებისა წარმოვიდა ესმა ხადელ ცხაოტ
ელთა და შეიქმნა ხმა საყვირისა და შფოთი და ენება ბრძოლის ყოფა
და შეკრბეს და ვა იხილეს სიმრავლე ლაშქრისა სიმრავლითა ძღვნის
ათა მოეგებნეს რ შეეშინა ფდ ხ ვირშელ დაიდვა ნადიმი ვა
კესა ხადისასა და ძღვენი ყლი მიითვალა აღდგა და ლომისას გამოვიდა
და გაუშვა ლაშქარი ყლი წმიდა გიორგი შეწირა არამცირედი ტყ
უწნი ყლნი მოწამესა აპატივნა და განათავისუფლნა და გამარჯვებული
მოვიდა მაშინ გიორგი მეფე განილაშქრა ალინჯას ყითა სპითა
ქართველითა იმერლისა მესხითა და შირვანელითა მივიდა ალინჯას და
დახოცნა ლაშქარნი გამოიყვანა ძე სულთანისა შეყენებული ციხესა
ალინჯისასა ქრისტეს აქეთ 1325
და მოვიდა მეფე გამარჯვებული მაშინ ერისთავმან ვირშელმან მოიყვანა
მეუღლე პატივოსანი ნათესავთაგან დიდ ტომთა და სამეუფოთა რომელსა
ერქვა თამარ რომლისა სიტურფე სიკეთე უკლებობაჲ უნახავთაგან სა
ნატრელ იყო და ნანახთაგან სატრფიალო სანატრელ იქნებოდა მაშ
ინ მოვიდა ლანგ თემურ სამანგნელი ყლითა სპითა ჩაღალენ

1-35 სტრ., 7v

ქაშანელ სიყალბელ ნაპრომელ ინდუსტანელისა და ყითა სპარსეთისა
და აღმოსავლისა ლაშქრითა დიდითა რისხვითა და გულისწყრომითა ხ
გიორგი მეფე წარვიდა ლიხთ იმერით მაშინ ერისთავი ვირშელი
უკუდგა ციხესა ბეხუმისასა დედა წულითა და ჯოგითა და თანა ჰყვა კათალიკ
ოზი ელიაზ ყოვლით საყდრის შვილითურთ და ხიზნითა დიდითა და ჯოგითა და ცხვრ
ითა მოვიდა თემურ და წარმოუძღვა წინა ბერდიას შვილი ვირშელი
და შემუსრა ყლნი ციხენი და დააქცივნა ყლნი საყდარნი მონასტერნი და ეკ
ლესიანი და დაფარნა ლაშქარმან მათმან ყნი მინდორნი მთანი და ტყენი
კლდენი და ხევნი და ვა ზღვამან დაფარა ყლი ესე ქვეყანა და მიეწია
ლაშქარი მათი ქუთაისს ლეკეთს და დარიალსა და მოწვეს და მოაოხ
რეს ყლი საქართველოჲ დაყარეს მძორი მკვდრისაჲ ვა მჭელი თი
ვისა მაშინ ვირშელმან უკუაყენა ხიზანი და დედა წულნი ქნოლოს
და თვით დადგა ბეხუმეს გარეშე ციხესა და მოვიდა მარბეველი ლაშქარი და
მიაგება წინა მშვილდოსანნი და იწყეს სროლად და გამოასხეს

და მოირთეს ძალი და კ~დ შემოვიდეს უმრავლესნი და მოვიდეს ციხეს და ჩამოეგებნეს აზნაურის შვილები და იწყეს სროლად ისრითა და დაუხოცეს ცხენები და დაკოდეს მრავალი ისრითა გამოასხნეს ომითა და კ~დ გამოვიდეს და ჰკრეს ქოსსა და შეკრიბეს სიმრავლითა დიდითა და წარმოემართნეს ჰევთა ტყეთა კლდეთა მთა ათ და მომართეს ციხესა ბეხუშისასა მაშინ დადგა ერისთავი ზემოთ ციხესა მოვიდა ლაშქარი და ვერ დაიტევდა სივიწროე ჰევისა და ქვეითდეს და ჩამოეგებნეს წინა ვირშელი და მოახლენი მისნი და იწყეს სროლად მერმე ამოიწვადეს ჰმლები და ვერა მიეტეოდა ლაშქარი მრავალი და მობრუნდეს წინანი მბრძოლნი რ~ მრავალი მოკვ და მათგანი და წამოვიდა ყოველი სპა მაშინ ერისთავი გამა რჯვებული მოვიდა ქნოლოს ხილვად დედა წულთა ხ~ კაცმან ქნოლოელმან რ~ლსა ერქვა ხარება აუწყა ყ~ლთა დვალთა ვ~თდ მტერი თქუჭნი ყ~თა სახლსა შ~ა ჩემსა არს აწ მოვედით და მოვკლათ რ~ ხელთა შ~ა ჩვენთა არს მაშინ შეკრბეს ყ~ლნი დვალნი სიხარულითა და წარმოვიდეს ხოლო უფალმან არა მისცა მონად თვისი სიკვდილად ხელთა მისთა ა~დ აუწყა კაცმან კეთილმან განზრახვა მათი და წარმოვიდა ვირშელი ყ~ლი თურთ ხოლო ხარება დიდად იხარკა არა წასლვა მათი ა~დ ერისთავმან შემოსა სამოსლითა თვისითა და დადგომად არა უსმინა წარმოვიდეს მაშინ მოეწია ხარება და ზოგი რადმე სალარო

1-33 სტრ., 8r

წარულო ხ~ ვირშელი წარმოვიდა და მას ღამესა ყ~ი ლაშქარი დვალთა ხოლო ხარება დიდად მწუხარე აბრალებდა გამოშვებასა მათსა მაშინ თემურ ვ~ა მოაოხრა ყ~ნი და ტყვენა წარვიდა შამს ხ~ ტყუჭ და ალაფი ყ~ი გაგზ ავნა სამარყანდს და დარჩეს ერისთავსა ზემოდ თავადი ციხე ქვენიფ ნევს და სახლები და ციხე ქოლოთისა ციხენი ისროლისანი ციხე ბეხუ შისა ციხენი უკან უბნისა სახლი ნაკაფოვნისად და სახლი წინ უბნისა და სხუა ყ~ი ალაოხრეს მაშინ დააქცივეს ეკლესია ესე აღშენებული ერსითავისა იოვანესაგან ხ~ ვირშელმან შეკრიბა ლაშქარი რ~ლი დარჩომოდა მივიდა ქნოლოს ხ~ ხარება და მიმდგომნი მისნი შეაწყვდივნა ციხესა შინა და დახოცნა ყ~ლვე და დააქცივნა ციხენი მათნი დაწვა ქუჭყანად მათი და ალა ვსნა ლაშქარი ალაფითა და განუტევა შვილი ხარებასი სა მისა წლისა ყრმად და მისცა დედასა მისსა და ერთი ძმა ხარება სი და დიდად შური აგო მას ზედა მოუხდეს დვალნი ბრძოლად ა~დ ვერ შეუძლეს ხ~ ვირშელმან უბრძანა უკეთუ გნებავს ხილვა ჩემი მე მოვალ ქვეყანად თქვენდა და თქუჭნ რა

დცა გნებავს იგი მიყავთ და უკეთუ უფალმან ჰყოს სამარ
თალი ესრეთვე შური ვიგო თქვენ ზცა და წარმოვიდა შინა
უვნებელად ამას ჟამსა მიეცა მათ ყმა წული და განიხარეს
სიხარულითა დიდითა რშდ ესეოდენითა ბოროტთა ესრეთ წყალობით
მოხედვა ჰყო ღთნ და ნათელსცა მას წმინდამან მღვდეთ
მთავარმან და უწოდეს ქვენიფნეველი ამას ჟამსა ინება
წმინდამან გიორგი ქაშოეთისამან მოსლვა მკვიდრობად სა
ხლსა ვირშელისასა რომლისა სასწაულნი რლთა იქმოდა აურაც
ხელ არიან ვა ვარსკვლავნი ცისანი და ქვიშა ზღვისა ამას ზედა
ფდ განიხარა ერისთავმან და შეამკო ჯვარი და კუბო მისი და მოქედა
ვერცხლითა და ოქროთი და იწყო შენებად ეკლესიისა სახელსა
ზა მოწამისასა საზღვარსა ვარნისა ადგილსა შვენიერსა ყლოთ
კერძო მაშინ მოვიდა მეფე გიორგი ლიხთ იმერით და ესმა დვალთაგან
ღალატი ერისთავისა და განრისხნა და განილაშქრა მათ ზედან და შემოვიდა
გზასა აჩაბეთისასა და იწყო ტყვევნა და ოხრება მათი ხ ვირშელ
განილაშქრა ზემოსა მხარსა და ჩავიდა სოსხოს და აილო მას
დღესა რვა ციხე და სოფელი და ყლი მოსწვა და მოაოხრვა

1-40 სტრ., 8v

თვინიერ კაცთა მათ რლთა აუწყეს ღალატი დვალთაგან მათი ყოველი უვნე
ბლად დაიცვა და მეორესა დღესა მივიდეს ყარას და დაწვეს ციხე და სოფელი
ხუთი დახიზანი მათი შეეყენა ღელესა მთისასა ადგილსა მაღალსა ნაპრალსა
კლდეთასა შეუვალსა ყთურთ შეუხდა ლაშქარი სიტყვით დაუჯერებელსა
მას სიმაგრესა და აიღეს ყლი ალაფი მათი მაშინ მთიულნი არაგვი
ზედაზნით დარიალამდისინ ყლნი ერთად შეკრებით იყვნეს და
უძლოდა მათ ერისთავი მათი სურამელი ესე ყლი ბრძოლილ იყვნეს კლდ
ესა ხოჯისასა ორ დღე და დააკლებოდა ხუთი კაცი საჩინოდ და მოეკლა გამზ
რდელი ერისთავისა მათისა და ვერა ევნო მის სოფლისა დვალთათვის
მაშინ მიეგზავნა მოციქული ვდ დიდი კეთილი იქმნა მოსლვა ჩვე
ნი თქვენთვის რ უკეთუმცა აქა არა ყოფილ ვიყვნევით მოვიდოდა ვირშელი
და ყოველი ლაშქარი მისი და ცუდ იქმნებოდა სიმაგრე თქვენი ვა იგი
ცუდ ქმნილ არს უმჯობესი სხუათა სიმაგრე წინაშე მათსა დააქც
ევდის ციხეთა თქვენთა დასწვიდეს სოფელსა თქვენსა წაგიღებდეს
მონაგებსა თქუწნსა დაგხოცდეს მამათა ყლოთა და ცოლთა და შვი
ლთა ტყუფდ წარიყვანებდეს ად მოსლვითა ჩუწნითა ესე გარე
აგხადა აწ დავივიწყოთ სისხლი კაცთა რლნი მოჰკლენით და მო
მეცით რადმე პირუტყვი რათა იხილონ ლაშქართა მათთა რამეთუ მრც
ხუენის მათგან (აკლია ტრიქონი)
დაუქცეს ყლი კვლად წაბღალულ არს უტკივნებია მათთვის ხოლო ჩვენ

არღარა გვაქვს გარნა კაცნი ესე რომელ მოკლენით და დაკოდილი ფ~დ მაშინ
დვალთა მოსცნეს კაცნი მას ომსა შიგან შეპყრობილნი და ზროხანი
ოთხნი აიყარნეს ორნივე ერისთავნი და ჩაიარეს მალრან დვალეთი
ამოვიდა ვირშელი და დადგა როკას რ~ ვერ ეძლო სლვად ლაშქარისა სიმმ
იმისაგან ალაფისა და ქვემოთა მთიულთა მიმართეს კარად მეფესა ხ~
ადგილსა მას ლაშქართა ვირშელისათა შეიპყრეს კაცი ივ ენ და მათ
ასწავლეს დაფლული მრავალი განძი რ~ლი ლაშქართა მეფისათა ვერ
ეპოვნა და მეორესა დღესა მივიდა ვირშელი წინაშე მეფისა ხ~ მეფემან
განიხარა და მიუგზავნა ვირშელმან თექვსმეტი საკიდი ჭურჭელი ვერცხლისა და ოქრო
მსა ღ საკიდარი ს ზროხად ლ ცხენი ფ ცხვარი ლვ ქვა
ბი დიდი ხ~ მეფემან მრავალი მადლი წარმოთქვა და უბოძა მარი[....]
(აქა წაბღალული არს) ე პირუტყვი და ვერცხლი ურიცხვი
ესე ჩვენი გოგლად წოდებული ეტრატსა ზ~ა აღწერილია დაის
თრია და დაფუძნება ჩვენისა გვაროვნებისა ვპოვეთ მცირედი
რამდე აღწერილი ძველად და გადავწერეთ რამც შეიძლებოდა
სიძველით ნაკლულ იყო და აქანამდისდა აღმოიკითხებით
რომელიც არს ზემოთ წარწერილი და ვინც ამის შ~დ ჰპოვოთ
გთხოვთ შეასრულოთ ვინც ჰპოვოთ წელსა ჩყვჭ მარტის ე
კნეინა მარიამ ერისთავისა და გიორგიმან ძემან ღვთისამან
ქსნის ერისთავმან